

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №44
2014 წლის 17 ოქტომბერი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ.ა" ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №34 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 30.12.2013წ. 190020020.35.139.016107)

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9.860.2 | 12.661.4 | 4.705.8 | 7.955.6 | 13.327.9 | 3.096.9 | 10.231.0 |
| გადასახადები | 3.968.8 | 4.186.8 | 0.0 | 4.186.8 | 2.500.0 | 0.0 | 2.500.0 |
| გრანტები | 2.562.2 | 4.870.8 | 4.705.8 | 165.0 | 3,319,1 | 3,129,1 | 190.0 |
| სხვა შემოსავლები | 3.329.2 | 3.603.8 | 0.0 | 3.603.8 | 7.541.0 | 0.0 | 7.541.0 |
| ხარჯები | 6.931,4 | 7.758.4 | 503.6 | 7.254.7 | 9.065.2 | 511.1 | 8.554.1 |
| შრომის ანაზღაურება | 1.027.7 | 1.706.0 | 0.0 | 1.706.0 | 1.728.8 | 0.0 | 1.728.8 |
| საქონელი და მომსახურება | 3.176,1 | 2.649.7 | 446.1 | 2.203.6 | 3.330.8 | 511.1 | 2.819.7 |
| პროცენტი | 75.0 | 66.0 | 0.0 | 66.0 | 55.4 | 0.0 | 55.4 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|----------|---------|---------|---------|----------|---------|----------|
| სუბსიდიები | 1.279.4 | 1.886.1 | 40.0 | 1.846.1 | 2,563.2 | 0.0 | 2,563.2 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 563.2 | 1.385.1 | 0.0 | 1385.1 | 1.059.1 | 0.0 | 1.059.1 |
| სხვა ხარჯები | 809.7 | 65.4 | 17.5 | 47.9 | 260,5 | 0.0 | 260,5 |
| | | | | | | 0.0 | |
| საოპერაციო სალდო | 2.928,8 | 4.903.0 | 4.202.2 | 700.8 | 4.262.7 | 2,585.8 | 1.676.9 |
| | | | | | | 0.0 | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8.417,7 | 4.730.8 | 3.682.4 | 1.048.4 | 6.033.7 | 3,303.1 | 2.730.7 |
| ზრდა | 8.563.7 | 4.852.7 | 3.682.4 | 1.170.3 | 6.133.7 | 3,303.1 | 2.830.7 |
| კლება | 145.9 | 122.0 | 0.0 | 122.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | -5.488.9 | 172.3 | 519.8 | -347.5 | -1.771,0 | -717.2 | -1.053,8 |
| | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -5.564.5 | 87.7 | 519.8 | -432.1 | -1.866.2 | -717.2 | -1.149,0 |
| ზრდა | 5.564.5 | 519.8 | 519.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 5.564.5 | 519.8 | 519.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | | 432.1 | 0.0 | 432.1 | 1.866,2 | 717.2 | 1.149,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -75.6 | -84.6 | 0.0 | -84.6 | -95.2 | 0.0 | -95.2 |
| კლება | 75.6 | 84.6 | 0.0 | 84.6 | | 0.0 | |
| საშინაო | 75.6 | 84.6 | 0.0 | 84.6 | 95.2 | 0.0 | 95.2 |
| | | | | | | 0.0 | |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 13.427.9 ათ. ლარით, გადასახდელები 15.294.1 ათ.ლარით და ნაშთის ცვლილება -1.866.2 ათ.ლარით თანდართული რედაქციით :

| | | | |
|--|----------------|-----------------|-----------------|
| | 2012წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|--|----------------|-----------------|-----------------|



| დასახელება | | | მათ შორის | | მათ შორის | | |
|--|----------|----------|---|----------------------|-----------|---|----------------------|
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | | | | | | | |
| შემოსულობები | 10.006.1 | 12.783.3 | 4.705.8 | 8.077.5 | 13.427.9 | 3.096.9 | 10.331.0 |
| შემოსავლები | 9.860.2 | 12.661.4 | 4.705.8 | 7.955.6 | 13.327.9 | 3.096.9 | 10.231.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 145.9 | 122.0 | 0.0 | 122.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 15.570.7 | 12.695.6 | 4.185.0 | 8.509.6 | 15.294.1 | 3.814.1 | 11.480.0 |
| ხარჯები | 6.931.3 | 7.758.4 | 503.6 | 7.254.7 | 9.065.2 | 511.1 | 8,311.1 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.563,6 | 4.852.7 | 3.682.4 | 1.170.3 | 6,075.7 | 3,303.1 | 2.819.7 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებები კლება | 75.6 | 84.6 | 0.0 | 84.6 | 95.2 | 0.0 | 95.2 |
| ნაშთის ცვლილება | -5.564,5 | 87.7 | 519.8 | -432.1 | -1.866,2 | -717.2 | -1.149,0 |

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13.327.9 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | | 2013 წლის გეგმა | | 2014 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|----------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9.860.2 | 12.783.3 | 4.705.8 | 8.077.5 | 13.327.9 | 3.096.9 | 10.231.0 |
| გადასახადები | 3.968.8 | 4.186.8 | 0.0 | 4.186.8 | 2.500.0 | 0.0 | 2.500.0 |
| გრანტები | 2.562.2 | 4.870.8 | 4.705.8 | 165.0 | 3.286.9 | 3.096 | 190.0 |
| სხვა შემოსავლები | 3.329.2 | 3.603.8 | 0.0 | 3.603.8 | 7.541.0 | 0.0 | 7.541.0 |



4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5. ბორჯომის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3.286.9 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები | 2.562.2 | 4.870.8 | 3.286.9 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 2,562,2 | 4.870.8 | 3.286.9 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 160.7 | 4.870.8 | 190.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 160.7 | 165.0 | 190.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2.401.5 | 4.705.8 | 3.096.9 |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 1.141.3 | 3.609.5 | 2.666.3 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 439.2 | 419.8 | 430,6 |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | 200.0 | 0.0 | 0.0 |
| მთავრობის სარეზერვო ფონდიდან | 16.0 | | 0.0 |
| ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია | 605.0 | 676.5 | 0.0 |

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეექვსე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 6. ბორჯომის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 7.541.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|-----------|-----------|-----------|
| სხვა შემოსავლები | 3.329.2 | 3.603.8 | 7.541.0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 2.563.9 | 2.554.2 | 6.514.0 |
| პროცენტები | 501.0 | 298.4 | 300,0 |
| დივიდენდები | 0.9 | 0.0 | 0.0 |
| რენტა | 2.062.0 | 2.255.8 | 6.214.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 2.050.1 | 2.219.1 | 6.184.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 12.0 | 36.7 | 30.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | | |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 399.5 | 549.8 | 487.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები | 381.9 | 527.8 | 427.0 |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | | |



| | | | |
|--|-------|-------|-------|
| სანებართვო მოსაკრებელი | 80.8 | 115.8 | 45.0 |
| სახელმწიფო ბაჟი | | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.1 | 0.0 | 0.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.4 | 0.8 | 0.0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 120.0 | 227.5 | 212.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 180.6 | 183.7 | 170.0 |
| | | | |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 17.7 | 22.0 | 60.0 |
| | | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 17.7 | 22.0 | 60.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 276.8 | 400.2 | 450.0 |
| | | | |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 89.0 | 99.5 | 90.0 |

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9.065.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | | 2013 წლის ფაქტი | | 2014 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|---------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 6931,4 | 7.758.4 | 503.6 | 7.254.7 | 9.065.2 | 511.1 | 8.554.1 |
| შრომის ანაზღაურება | 1.027.7 | 1.706.0 | 0.0 | 1.706.0 | 1.728.8 | 0.0 | 1.728.8 |
| საქონელი და მომსახურება | 3.176,1 | 2.649.7 | 446.1 | 2.203.6 | 3.330.8 | 511.1 | 2.819.7 |
| პროცენტი | 75.0 | 66.0 | 0.0 | 66.0 | 55.4 | 0.0 | 55.4 |
| სუბსიდიები | 1.279.4 | 1.886.1 | 40.0 | 1.886.1 | 2.630.6 | 0.0 | 2.630.6 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 563.6 | 1.385.1 | 0.0 | 1.385.6 | 1.059.1 | 0.0 | 1.059.1 |
| სხვა ხარჯები | 809.7 | 65.4 | 17.5 | 47.9 | 260,5 | 0.0 | 260,5 |

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6.033.7 ლარის ოდენობით, მათ შორის:



ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6.133.7 ლარის ოდენობით,

გ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 145.9 | 122.0 | 100.0 |
| ძირითადი აქტივები | 57.5 | 0.0 | 70.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 88.4 | 122.0 | 30.0 |
| მიწა | 88.4 | 122.0 | 30.0 |

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 6.133.7 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | | 2013 წლის ფაქტი | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|-----------------|---------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 49.2 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 368,1 | 0.0 | 368,1 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 8.3 | 29.3 | 0.0 | 29.3 | 99.5 | 98.0 | 1.5 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5.150 | 3.969.7 | 2.891.2 | 1.078.5 | 4.642.2 | 2,493.8 | 2.148.3 |
| განათლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 268,0 | 0.0 | 268,0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 2.888.1 | 813.7 | 791.2 | 22.5 | 728,8 | 711,3 | 17,5 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | - | - | - | - | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| სულ | 8.563.6 | 4.852.7 | 3.682.4 | 1.170.3 | 6.133.7 | 3,303.1 | 2.830.7 |

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1.771,0 ათასი ლარის ოდენობით."

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1,866,2 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1.866,2 ათასი



ლარის ოდენობით."

11. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთორმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -95.2 ლარის ოდენობით."

12. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80.1 ასიათასი ლარის ოდენობით. "

13. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 190.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 105.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი;"

14. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების 1.262.1 ათასი ლარის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად."

15. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. ბორჯომში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება. არსებული რესურსების ფარგლებში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და პერსონალის სიცოცხლის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. განხორციელდება დაბა ბაკურიანში სახანძრო-სამაშველო შენობის მშენებლობა.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)



შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასამელო წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასამელო წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიგასაქალაქო გზების მოწესრიგება.

2.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგასაქალაქო გზების რეაბილიტაცია,

განხორციელდება ქ. ბორჯომში შიგა ქუჩების, ვაშლოვანის, რუსთაველის, მესხეთის, ერეკლეს, რობაქიძის, წმინდა ნინოს, სოფლების ცემისა და ყვიბისის, დაბა წაღვერის გზების რეაბილიტაცია. განხორციელდება დაბა ბაკურიანში, ლიკნის დასახლებაში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩებზე, სოფელ მზეთამზეში, სოფელ ქვაბისხევსა და ჩითახევში გზების რეაბილიტაცია.

2.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება. მოსაცდელების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება ბორჯომში რუსთაველის, 9 აპრილის, მესხეთის, კოსტავას ქუჩების, რუსთაველის ფილებით მოპირკეთება. ქალაქში მოსაცდელების მშენებლობა რაც განაპირობებს ქალაქის იერსახის სრულყოფას.

2.1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების აღდგენა, კერძოდ განხორციელდება სოფელ ყვიბისში ორი ხიდის, ახალდაბის, მტრედის ხიდის, პარკის, სილამაზის ხიდის, ლიკანისა და ახალი უბნის დამაკავშირებელი ხიდის, სოფელ მიტარბში, ღელის აღმართის ქუჩაზე ხიდების რეაბილიტაცია.

2.1.5 ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და გაწმენდა. ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.



2.2.1 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა. კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჭავჭავაძის, აღმაშენებლის, ნიკოლაძის, გამსახუდიას, რაზმაძის, ხანძთელის, გურამიშვილის, ორბელიანის, ინაურის ქუჩებზე, სოფლებში: ყვიბისში, ტბაზე, ახალდაბაში საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.

2.2.2 მრავალსართულიანი ბინების სახურავების, ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაცია. (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი მრავალსართულიანი კორპუსია რომლებიც საჭიროებენ სახურავების, ლიფტების და ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაციას. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, კერძოდ: რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ.ბორჯომში რუსთაველის, მესხეთის, გამსახურდიას, დუმბაძის ქუჩებზე საცხოვრებელი სახლების სახურავებს. თორის, ერეკლეს, მესხეთის, რუსთაველის ქუჩებზე საცხოვრებელ სახლებში ლიფტებს, რუსთაველის, ხანძთელის, მესხეთის, თამარ მეფის ქუჩებზე საცხოვრებელ სახლების ფასადებს.

2.2.3 ნარჩენების შეგროვება, გატანა კეთილმოწყობის ობიექტების დასუფთავება, ნაგავმზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე

ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

2.2.4 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი

03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება კანალიზაციის მოწყობა თორის, აღმაშენებლის გოგებაშვილის და რაზმაძის ქუჩებზე. დვირი-საკირის, ტიმოთესუბნის,ციხისჯვრის წყალსადენის სისტემის მოწყობა, რუსთაველის ქუჩაზე ქსელზე დაერთება.

2.2.5. გარე განათების მოვლა პატრონობა, გარე განათების ბომბების მონტაჟი, დეკორატიული განათებების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, კერძოდ განხორციელდება ქ.ბორჯომში შიგა ქუჩების, სოფლების: დაბის და მზეთამზის და დაბა ახალდაბის გარე განათების მოწყობა, ასევე განხორციელდება ახალ ქსელზე მიერთება ქ. ბორჯომში, სოფლებში მზეთამზეში, ციხისჯვარში, ყვიბისის ხიდიდან სოფ. რველამდე და მოლითში.

2.2.6 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა ჭურჭლის შეძენა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარიტუალო დარბაზების მშენებლობა, რეაბილიტაცია, და დარბაზებისთვის ინვენტარის და ჭურჭლის შეძენა. კერძოდ განხორციელდება დაბა ახალდაბაში, ბაკურიანში და სოფელ ტაძრისში სარიტუალო სახლების მშენებლობა.



2.2.7 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამით განხორციელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, დაზიანებული შენობების გაწმენდა რეაბილიტაცია. დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები. განხორციელდება თამარ მეფისა და ნინოშვილის ქუჩებზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. ნინოშვილის ქუჩაზე ჩამოშლილი კლდის გასუფთავების სამუშაოები, პეტრიწის ქუჩაზე საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

2.2.9 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, მიწისქვეშა ავტოსადგომების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოების, სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. განხორციელდება რუსთაველის ქუჩაზე საცხოვრებელ

სახლებში ლიფტების, ჭავჭავდძის, აღმაშენებლის, გამარჯვების, თორის ქუჩებზე მრავალბინიან საცხოვრებელ ბინების სახურავების რეაბილიტაცია.

2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების ექსპლოატაცია, გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება ქალაქში საჭიროების შემთხვევაში ახალი სანიაღვრეების მიერთება ცენტრალურ სისტემებთან. განხორციელდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია თორის და რუსთაველის ქუჩებზე, კოსტავას მოედანზე.

2.3.2 ხეების გადაბეღვა, შეწამლვა ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები. განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა რუსთაველის ქუჩაზე და კოსტავას სახელობის ბაღში, დაბა ბაკურიანში. შეძენილი იქნება საბაღე სკამები, რომელიც განთავსდება რუსთაველის ქუჩაზე სკვერებში.

2.3.3 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებში საბანშვო ატრაქციონების მოწყობა. ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდება სპორტული მოედნის მშენებლობა.

2.3.4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობას, ხეების მოჭრას გადაბეღვას და დასუფთავებას.

2.4. ვეტერინალური მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და სამოვრებზე ვეტერინალური მომსახურება. ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალებებით ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. სამოვრებზე მიეწოდებიან ვეტერინარი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველებისათვის საშიში გადამდები სნეულებების კერების ლოკალიზებას.



2.5. გამწვანება (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

2.6 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარიმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად.

2.7 სამშენებლო სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.8. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სოფელ ციხისჯვარში ტერიტორიული ორგანოს შენობის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის რემონტი და შიგა კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 ააიპ “ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი”(პროგრამული კოდი 04 01)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 550 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს, ინვენტარისა და ავეჯის შეძენა. დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 90 ბავშვი, ასევე ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ სოფელ ვარდგინეთში, ლიკანის, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღს, №1 ბაღის ფასადს.

3.2.საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები.

4.კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს



კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით.

4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 364-მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 15 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში, ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი-ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის. 2014 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- კალათბურთის ტურნირი,
- ვაჟთა ტურნირი ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის,
- ვაჟთა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის,
- კარატეს რესპუბლიკური ჩემპიონატი,
- ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის,
- მხიარული სტარტები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს შორის,
- მინი-ფეხბურთი
- რევაზ ლაშხის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,
- ჭადრაკის ტურნირი,
- ქართული ჭიდაობა (სკოლების პირველობა)

განხორციელდება ბორჯომის საფეხბურთო კლუბის “ ბორჯომი-2013“-ის დაფინანსება. საფეხბურთო გუნდის შექმნამ ხელი შეუწყო ქალაქში სპორტის, კერძოდ ფეხბურთის პოპულარიზაციას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 230-მდე მოსწავლე. ასევე ფინანსდება მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.



4.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. რეაბილიტაცია ჩატარდება დაბა წალვერის ბიბლიოთეკის შენობას.

4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ “ბორჯომის თოჯინების თეატრი” რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. სსიპ თოჯინების თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ბავშვებში ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება. 2014 წელს თეატრი გეგმავს ოთხი ახალი სპექტაკლის დადგმას:

- „სამყაროს დაბადება“ - საბავშვო ბიბლიის მოტივებზე.
- „ადამიანი ობობა“-კოპროდუქცია.
- „მძინარე მზეთუნახავი“-დისნეის პროექტი.
- „წიქარა“- ქართული ხალხური ზღაპარი.

4.2.5 ეროვნული და ადგილობრივი დღესასწაულები(პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა:

1. ჩვენი მხარე.
2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.
3. ბორჯომელი მხატვრის თანგული ორთოიძის ნამუშევრების გამოფენა.
4. დედის დღე.
5. ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“
6. შეხვედრა ხელოვანთან.
7. ლიტერატურული კვირეული.
8. ეროვნული მედიაპროექტი „ეტალონი“
9. ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება.
10. ფოლკლორის ფესტივალი.
11. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი.



12. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი.
13. მწერალ გიორგი ზედგინიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.
14. პროექტი „ჰარმონია“.
15. ტოლერანტობა და თანასწორობა. ახალგაზრდული ფორუმი.
16. ლიტერატურული დღეები ბორჯომში.
17. ბორჯომ-ქალაქობა.
18. ნარდის რაიონული ჩემპიონატი.
19. გაიცანი შენი სამშობლო.
20. ხალისიანი შემოდგომა.
21. ინტელექტუალური თამაშები ყმაწვილთათვის.
22. ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დღეები ბორჯომში.
23. ჩვენი სოფლის ისტორია
24. თბილისის თოჯინების მუზეუმის ექსპონატების გამოფენა
25. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლ „არტის“ ჩვენება
26. კობა წაქაძის საიუბილეო საღამო
27. წინა საშობაო ღონისძიება.

4.2.6 ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამით განხორციელდება ა .(ა) ი.პ. „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება ბორჯომის ცენტრალური პარკის მოვლა-პატრონობა და იერსახის შენარჩუნება. განხორციელდება ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიის, კერძოდ 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია. ხიდის რეაბილიტაცია. ცენტრალურ ისტორიულ პარკში არსებული საცურაო აუზის კეთილმოწყობა.

4.3. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესასა და ტელევიზიაში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.



5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობის სისტემით მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, შეფასება, დაზუსტება, სტატისტიკური ანგარიშგება და გადაცემა დადგენილი წესის მიხედვით, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის დამუშავება და მათი პრევენცია. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა, დადგენა პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, საგანმანათლებლო სააღმზრდელო მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა.

ჯანდაცვის ცენტრი განახორციელებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰელმინთებით ინვაზირების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხელშეწყობის ადგილობრივ მუნიციპალურ პროგრამას. ქვეპროგრამის ბენეფიციარი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 3-დან 6 წლის ჩათვლით 1320 მოზარდი, რომლებსაც მებენდაზოლის პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზის გაცემის წინ ჩაუტარდებათ უფასო სამედიცინო მარტივი გამოკვლევა, რომელიც განხორციელდება ორგანიზებულად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ასევე გამოკვლევა ჩაუტარდება ბალის ინვენტარს, სათამაშოებს ენტერობიოზის კვერცხებზე. ინვაზირების შემთხვევაში დაავადებულ ბავშვზე გაიცემა მედიკამენტის სამკურნალო დოზა. მებენდაზოლი გაიცემა სხვადასხვა დოზირებით კონტაქტში მყოფ ოჯახის წევრებზე. ქვეპროგრამა განხორციელდება გაზაფხულსა შემოდგომაზე.

ჯანდაცვის ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განახორციელებს მოზარდებში თამბაქოს მოხმარების, ალკოჰოლიზმის და წამალდამოკიდებულების (ნარკომანიის) პროფილაქტიკის ღონისძიებებს. კერძოდ განხორციელდება საინფორმაციო კომპანია, რაც ხელს შეუწყობს მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის, ფსიქორტონული ნივთიერებების და მათი მოხმარების მავნე შედეგების შესახებ ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებას, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილების გზების, აივ ტესტირების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებას. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება ლექციურად, ბეჭდურად, რომელსაც მოზარდები თვითონაც განახორციელებენ, აქტიურად ჩაებმებიან უსაფრთხო ქცევების პოპულარიზაციის ხელშეწყობ ღონისძიებებში, სპორტულ აქტივობებში, ტრენინგებში.

5.1.2 დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მღრღნელების და ინფექციის გადამტანი ცხოველების ლიკვიდაცია. ნაგვის ბუნკერების, ნაგვის შემკრები კონტეინერების, ნაგავსაყრელზე სადეზინფექციო დერატიზაციის და დეზინსექციის სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.



5.1.3 ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობის ხარჯი(პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალდაბის ამბულატორიის შენობის საძირკველისა და ტერიტორიის მოწყობა. ჭობისხევის ამბულატორიის რემონტი.

5. 2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენის სტაციონალური სამედიცინო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 01)

აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 70 001-დან 160 000 ქულამდე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა და აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში ის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70 001-ზე ნაკლები და სამედიცინო პოლისის მიღებამდე საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო დახმარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი სახით:

- 1 000 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება - 100%-ით.
- 1 001 ლარიდან - 3 000 ლარამდე დაფინანსდება 80 %-ით
- 3 001 ლარის ზევით 70 %-ით

დაფინანსდებიან ასევე ის პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული

„სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებას. ამ კატეგორიის ბენეფიციარების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი სახით:

- 700 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება 100%-ით.
- 701 ლარიდან 2000 ლარამდე დაფინანსდება 80%-ით.
- 2001 ლარის ზევით 70%-ით.

დაფინანსება გათვალისწინებულია საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ზღვრული დაფინანსების ზემოთ დარჩენილ თანხაზე. დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა #100 და ინვოისი (კალკულაცია) და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი, კერძოდ მოძრაობის უნარშეზღუდული, მარტოხელა, ინვალიდი, ასაკით პენსიონერების და უმუშევართა, სულ 230 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

5.2.3 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ



ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით.

5.2.5 მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე. აღნიშნული ღონისძიება არის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა ვეტერანების მიმართ. (34 ბენეფიციარი).

5.2.6 ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 300-მდე ბენეფიციარი, თითო 150 ლარის პირველ ბავშვის, 200 ლარის მეორე ბავშვის, 300 ლარის მესამე ბავშვის, 400 ლარის მეოთხე ბავშვის, 500 ლარს მეხუთე და ზემოთ ბავშვების შეძენაზე. პროგრამის განხორციელება გავლენას იქონიებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

5.2.7 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლ ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით (7 ბენეფიციარი).

5.2.11 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროგრამული ხარჯი საქალაქო ტრანსპორტზე ტარიფის შესანარჩუნებლად (პროგრამული კოდი 06 02 11)

კვლავ აქტუალური რჩება შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, ასევე განხორციელდება სოფელ ბალანთაში სამგზავრო ავტობუსის დაფინანსება, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

5.2.12 განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას (3 ბენეფიციარი).

5.2.13 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახები მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას, ოთხშვილიანი ოჯახი მიიღებს ყოველთვიურად 150 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარს. მუნიციპალიტეტში 44 ოთხშვილიანი, 7 ხუთშვილიანი, 5 ექვსშვილიანი, 1 რვაშვილიანი ბენეფიციარია.

5.2.14 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება და შეშით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამით განხორციელდება ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება.

5.2.15 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 15)

